აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №1

26 მაისი 2004 წელი ქ. ბათუმი

დღის წესრიგი:

1. დღის წესრიგის დამტკიცება;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცება;

(მომხს: ი. ფაღავა)

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნების დაფინანსების გეგმის (ხარჯთაღრიცხვის) დამტკიცება;

(მომხს: ი. ფაღავა)

4. საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცება;

(მომხს: გ. მჭედლიძე)

5. ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტის ფორმის დამტკიცება;

(მომხს: ლ. ჩავლეიშვილი)

6. უსკოს აპარატის უფროსის არჩევა;
7. უსკოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;
8. უსკოს მდივნის არჩევა;
9. სხვადასხვა;

სხდომას ესწრებოდნენ:

უსკოს თავმჯდომარე ი. ფაღავა. კომისიის წევრები: სიმონ ჩხაიძე, გუგული დუაძე, გიზო მჭედლიძე, ლევან ჩავლეიშვილი, მამუკა წულუკიძე, ქეთევან ჯიქია, გულნარა ბზიკაძე, სერგო დუმბაძე.

სხდომა გახსნა და კომისიის წევრებს მიესალმა უსკოს თავმჯდომარე. წარადგინა კომისიის წევრები. სხდომის მონაწილეებს გააცნო დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს დადგენილება უსკოს შექმნის თაობაზე. სხდომის მონაწილეებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი და წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე. კომისიის თავმჯდომარის წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე მხარდაჭერილი იქნა კომისიის ყველა წევრის მიერ.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი – რეგლამენტის დამტკიცება.

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა ს. ჩხაიძემ, გ. დუაძემ. გამოითქვა წინადადება რეგლამენტის პროექტში დაფიქსირებული 18 საათის შემდეგ კომისიას ჰქონოდა მუშაობის უფლება. საკითხებთან დაკავშირებით კომისიის წევრებს განმარტება გაუკეთა კომისიის იურიდიული სამსახურის უფროსმა, რის შემდეგაც აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა მოიხსნა.

კომისიის წევრმა ს. ჩხაიძემ დააყენა წინადადება, იურიდიული სამსახურის უფლებამოსილებას დაემატოს პარტიების რეგისტრაციისათვის შემოტანილი განცხადებებისა და თანდართულ მასალებზე დასკვნის გაკეთება.

კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ წინადადებას და სრული შემადგენლობით მხარი დაუჭირა.

კომისიამ კენჭი უყარა კომისიის წევრის ს. ჩხაიძის წინადადებას, კომისიის აპარატის სამსახურებს დაემატოს კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც კომისიის წევრების სრული უმრავლესობით მხარდაჭერილი იქნა.

კომისიის წევრის ს. ჩხაიძის წინადადებით საჭიროა კომისიის რეგლამენტში განისაზღვროს საჩივრების, განცხადებების განხილვის წესი და ვადები შემდეგი სახის ფორმულირებით: „საჩივრები განიხილება მიღებიდან 3 დღის ვადაში, რაზედაც გამოიტანება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი“.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს ი. ფაღავამ, გ. მჭედლიძემ, გ. დუაძემ. კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და მხარი დაუჭირეს განცხადებების, საჩივრების განხილვას მიღებიდან ერთ დღიან ვადაში.

ს. ჩხაიძის წინადადებით კომისიამ მიიღო დამატება რეგლამენტში კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესთან დაკავშირებით, კერძოდ კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

კომისიის წევრის ს. ჩხაიძის წინადადებით კომისიამ კენჭი უყარა და მიიღო რეგლამენტში ცვლილება, რომლის მიხედვითაც კომისიის თავმჯდომარის არყოფნის ან მისი დავალებით კომისიის თავმჯდომარის მოადგილე უფლებამოსილებას განახორციელებს კანონში არსებული ფორმულირების შესაბამისად. სხვა შენიშვნა რეგლამენტთან არ გამოთქმულა.

კომისიამ კენჭი უყარა რეგლამენტის პროექტს გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად და ერთხმად დაამტკიცა იგი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე – ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება, კომისიის წევრებს მოახსენა ი. ფაღავამ.

საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა კომისიის წევრმა გ. მჭედლიძემ, მისი წინადადებით ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებული საუბნო კომისიის 6 წევრის ნაცვლად უნდა იყოს 9 წევრი და საუბნო კომისიის წევრების ხელფასი

განისაზღვროს შემდეგნაირად – კომისიის თავმჯდომარეს 60 ლარი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, მდივანს 40–40 ლარი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა გამოთქმული წინადადებით 2004 წლის 20 ივნისის დაფინანსების გეგმა, რომელსაც კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე – საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის შესახებ მოხსენება გააკეთა კომისიის წევრმა გ. მჭედლიძემ. კომისიის წევრებმა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს უყარეს კენჭი და მიიღეს ერთხმად.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე – ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტის ფორმის დამტკიცება, მოხსენება გააკეთა უსკოს წევრმა ლ. ჩავლეიშვილმა.

აზრი გამოთქვეს გ. მჭედლიძემ, ქ. ჯიქიამ.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხს კომისიამ უყარა კენჭი. საკითხის მიღებას მხარი დაუჭირა კომისიის ყველა წევრმა.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე – უსკოს აპარატის უფროსის დანიშვნა, კომისიის წევრებს უსკოს თავმჯდომარემ წარუდგინა გელა კუჭაშვილის კანდიდატურა, რომელიც მანვე დააყენა კენჭისყრაზე. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გ. კუჭაშვილის აპარატის უფროსად არჩევას.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე – უსკოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა, თავმჯდომარის მიერ წამოყენებული იქნა კომისიის წევრის გ. დუაძის კანდიდატურა. საკითხზე ჩატარდა სახელობითი კენჭისყრა. კანდიდატურას მხარი დაუჭირა კომისიის ყველა წევრმა, მათ შორის – ი. ფაღავა, ს. ჩხაიძე, ლ. ჩავლეიშვილი, მ. წულუკიძე, ქ. ჯიქია, გ. ბზიკაძე, ს. დუმბაძე, გ. მჭედლიძე.

დღის წესრიგის მერვე საკითხი – უსკო-ს მდივნის არჩევა. უსკო-ს თავმჯდომარის მიერ კომისიის წევრებისათვის წარდგენილი იქნა კომისიის წევრის გიზო მჭედლიძის კანდიდატურა.

საკითხზე ჩატარდა სახელობითი კენჭისყრა. კომისიის წევრებმა, მათ შორის – ი. ფაღავა, ს. ჩხაიძე, ლ. ჩავლეიშვილი, მ. წულუკიძე, ქ. ჯიქია, გ. ბზიკაძე ს.დუმბაძე მხარი დაუჭირეს გ.მჭედლიძის მდივნად არჩევას.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი – სხვადასხვა.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე – კომისიის წევრების მიერ განხილული იქნა საოლქო, საუბნო კომისიების საზღვრების დადგენის საკითხი, ზოგიერთი საოლქო კომისიის განვითარების საკითხი.

უსკოს სხდომა თავმჯდომარის წინადადებით დამთავრებულად გამოცხადდა.

უსკოს თავმჯდომარე ი. ფაღავა

უსკოს მდივანი გ.მჭედლიძე